ფასი 60 კაპ.

ს ს ს რ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

# კრებული

№ 7–8 აპრილი 1938 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 1947

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 1580, 1937 წლის 15 დეკემბრის № 3767 ბრძანების შეცვლის შესახებ 2
2. ბრძანება № 1578. ტფილისის არარუსული სკოლების რუსული ენის მასწავლებელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ექვსთვიანი კურსების მოწყობის შესახებ. . . 3
3. ბრძანება № 1476, რუსული ენის დამატებითი კაბინეტის გახსნის შესახებ . . 4
4. ბრძანება № 1453, რუსული ენის მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების მოწყობის შესახებ . . . . . . . . . . 4
5. ბრძანება № 1487, რუსული ენის სწავლების შესახებ არარუსულ სკოლებში . . . 5
6. ბრძანება № 1358, უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის შესახებ . 6
7. ბრძანება № 1401, სკოლებში შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მოწყობის შესახებ . . . . . . . . . . . 6
8. ბრძანება № 1546, მწერალ გეორგ დოდონაიანის ნაწერების გამოცემის შესახებ 7
9. ბრძანება № 1318, სასკოლო სერიის ლიტერატურის გამოცემის შესახებ . . . . 8
10. ბრძანება № 1495, 1917-18 წელში დაბად. წ. კ. უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა შორის მუშაობის შესახებ . . . 9
11. ბრძანება № 1266, მოზრდილთა დაუსწრებელი არასრული საშ. და საშუალო სკოლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ 10
12. ბრძანება № 1416, განსახკომის სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს გადახალისების შესახებ . . . . . . . . . 11
13. ბრძანება № 1400, ახალ სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ . . . . . 12
14. დებულება დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოსი . . . . . . . . . . 14
15. სკოლის გარეთ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების შესახებ, მიმართვა ყველა რაიგანათლებისა და ავ. ოლქის განყოფილებათა გამგეებს და ავტ. რესპუბლიკათა განათლების სახ. კომისრებს . . . . . . . . . 15

Тбилисский филиал ИМЭЛ при ЦК ВКП(б)
Библиотека

განსახკომი
ტფილისი — 1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 1580

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 16 აპრილს**

**1937 წლის 15 დეკემბრის № 3767 ბრძანების შესაცვლელად ვბრძანებ:**

საკავშირო სახკომსაბჭოს 20/III 1937 წ. „სამეცნიერო ხარისხების და წოდების მინიჭების შესახებ“ დადგენილების საფუძველზე, საქართველოს განსახკომის სისტემაში შემავალ უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებზე სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საქმეების განსახილველად, დაარსდეს განათლების სახალხო კომისარიატთან მუდმივი საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის-ძე — კომისიის თავმჯდომარე (ტფილისის სახუნტის ორდენოსანი პროფესორი).

2. კუპრაძე ვიქტორ დიმიტრის-ძე —კომისიის თავ-რის მოადგილე (ტფ· სახუნტის პროფესორი).

3. ყიფშიძე დავით სიმონის-ძე —განათლ. სახ. კომისრის მოადგილე.

4. ბერიტაშვილი ივანე სოლომონის-ძე.—ტფილისის სახუნტის პროფესორი'.

5. მუსხელიშვილი ნიკოლოზ -— ტფილ. სახუნტის ორდენოსანი პროფესორი.

6. ნათაძე გრიგოლ იასონის-ძე —ტფილ. სახუნტის პროფესორი.

7. ტალახაძე ილარიონ ილარიონის-ძე—ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი.

8. ჯავახიშვილი ივანე ალექსის-ძე—ტფილ. სახუნტის დამსახურებული პროფესორი.

9. ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე—ტფილ. სახუნტის პროფესორი.

10. წერეთელი გრიგოლ ფილიპეს-ძე—ტფილ. სახუნტის პროფესორი.

11. ახვლედიანი გიორგი სარდიონის-ძე—პუშკინის სახელობის ტფილისის სამასწავლ. ინსტ. დირექტორი (სახუნტის პროფესორი).

12. ნუცუბიძე შალვა ისაკის-ძე—ტფილისის სახუნტის პროფესორი.

13. დანელია სერგო იესეს-ძე — ტფილისის სახუნტის პროფესორი.

14. კანდელაკი ბიძინა—საკავშ. სამეცნ. აკადემიის ტფილისის ფილიალის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

15. ხარაძე არჩილ კირილეს-ძე — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

16. კეკელიძე კორნელი სამსონის-ძე—ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

17. ხაჭაპურიძე გიორგი ვასილის-ძე—ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი (სასწავლო ნაწილში).

18. კიკნაძე გიორგი ივანეს-ძე — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

19. შეროზია კალისტრატე ნესტორის-ძე—საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სამეცნიერო და სასკოლო განყოფილების გამგე.

20. ქოიავა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე—ტფილ. სახ. უნივერსიტეტის პროფესორი.

საქ. განათლების სახ. კომისარი

**ერ. ბურჭულაძე**

---

# ბრძანება № 1578

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 16 აპრილს.**

### ქ. ტფილისის არარუსული სკოლების რუსული ენის მასწავლებელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ექვსთვიანი კურსების მოწყობის შესახებ

§ 1.

თანახმად უმაღლესი ორგანოების დადგენილებისა ქ. ტფილისის არარუსული სკოლების რუსული ენის მასწავლებელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ექვსთვიანი კურსების კონტიგენტი უნდა შედგარიყო 150 კაცის რაოდენობით, რაც ტფილისის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილების მიერ დღემდის არ არის უზრუნველყოფილი.

§ 2

ტფილისის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილ მასწავლებელთა საერთო სიიდან განთავისუფლდეს კურსებზე სავალდებულო დასწრებისაგან ნაწილი იმ მასწავლებლებისა, რომელთა შესახებაც ჩემი ცალკე განკარგულება არსებობს, ხოლო კურსების საბოლოო კონტიგენტი კი განისაზღვროს 158 კაცის რაოდენობით.

§ 3

დაევალოს ტფილისის სახალხო განათლების განყოფილებას, რათა აღნიშნული კურსები უზრუნველყოს სათანადო დახმარებითა და ხელმძღვანელობით, რისთვისაც ყველა სკოლის დირექტორს მისცეს კატეგორიული წინადადება იმის შესახებ, რომ კურსებზე ჩარიცხული მასწავლებლები დაუყოვნებლივ განტვირთულ იქნან სხვადასხვაგვარ დამატებითი დავალებებისაგან და თვით სკოლების დირექტორებს დაეკისროთ კურსებზე მასწავლებელთა უკლებლივ დასწრების პასუხისმგებლობა.

§ 4.

პედკადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა აწარმოოს კურსების მსმენელთა ყოველდღიური დასწრების ზუსტი აღრიცხვა და ხუთდღიურში ერთხელ შედეგები წარუდგინოს ტფილისის საბჭოს სახალ-

ხო განათლების განყოფილებას — უკანასკნელის მიერ სათანადო ზომების მისაღებად.

§ 5.

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ აწარმოოს აღნიშნულ კურსებზე სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა.

**სახალხო განათლების კომისრის მოადგილე დ. ყიფშიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

# ბრძანება № 1476

## საქ. განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 5 აპრილს**

რუსული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუდმივად ზრუნვის და საკურსო ღონისძიებათა წარმატებით გატარებისათვის, სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში არსებული კაბინეტების გარდა გაიხსნას დამატებით ა/წ. 5 აპრილიდან რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი — ერთი საშტატო ერთეულით (კაბინეტის გამგე).

**საქ. განათლების სახ. კომისარი ერ. ბურჭულაძე**

---

# ბრძანება № 1453

## საქ. განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 3 აპრილს**

## რუსული ენის მასწავლებელთათვის კურსების მოწყობის შესახებ

რუსული ენის მასწავლებელთა საზაფხულო კურსების სამეცადინო და მსმენელთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფისათვის **ვბრძანებ:**

1. დაევალოს ბორჯომის, ხაშურის, ალბულაღის, ტფილისის, თიანეთის, კასპის, საგარეჯოს, ბაღდადის, ტყიბულის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს მათი რაიონის ცენტრში და საგარაკო ადგილებზე არსებული ყველა სკოლის შენობა გადასცენ საზაფხულო არდადეგების პირველი დღიდანვე (25 ივნისი) თვენახევრის განმავლობაში სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს და ხელი შეუწყონ მას მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების ორგანიზაციის საქმეში.

2. დაევალოს ამხ. ან. მჭედლიძეს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს გან. განყოფილებებს და მოაგვაროს ბინების ჩაბარება და მომზადება.

**განათლების სახალხო კომისარი ერ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 1487

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 5 აპრილს**

## რუსული ენის სწავლების შესახებ

განათლების სახალხო კომისარია-
ტის ყოფილი მავნებლური ხელმძ-
ღვანელობის შედეგების ლიკვიდაცი-
ისათვის რუსული ენისა და ლიტე-
რატურის სწავლების საქმეში დაწ-
ყებითი, არასრული საშუალო და სა-
შუალო სკოლების რუსული ენისა და
ლიტერატურის მაღალკვალიფიციუ-
რი კადრებით უზრუნველყოფის მიზ-
ნით **ვბრძანებ:**

1. ტფილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის, ქუთაისის და სოხუმის
პედაგოგიური ინსტიტუტების ყველა
ფაკულტეტის I და II კურსზე რუ-
სული ენისათვის სასწავლო გეგმით
დათმობილი საათების რაოდენობა
ა/წ. 7 აპრილიდან გადიდებული იქ-
ნას 50 საათით.

2. მომავალ სასწავლო წლიდან
გადიდებულ იქნას რუსული ენის
სწავლებისათვის სასწავლო გეგმით
გათვალისწინებული საათები ტფი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ქუთაისის და სოხუმის პედინსტიტუ-
ტების ყველა ფაკულტეტებზე 360
საათამდე, ხოლო სამასწავლებლო
ინსტიტუტებში 210 საათამდე.

3. აღნიშნული საათები განაწილ-
დეს შემდეგნაირად: უნივერსიტეტისა
და პედინსტიტუტების I კურსზე —
168 საათი, II კურსზე—126 ს. III—
66 საათი.

სამასწავლებლო ინსტიტუტებში:
პირველ კურსზე 126 საათი, მეორე-
ზე —84 ს.

4. ენისა და ლიტერატურის ფა-
კულტეტების რუსული ენისა და ლი-
ტერატურის სექტორებზე ქართულ
ენას დაეთმოს: სახ. უნივერსიტეტში
176 საათი, პედაგოგიურ ინსტიტუ-
ტებში—220 საათი და სამასწავლებ-
ლო ინსტიტუტებში 172 საათი.

5. გაიხსნას გორის, ბათუმის და
სტალინირის სამასწავლებლო ინსტი-
ტუტების ენისა და ლიტერატურის
ფაკულტეტებთან 1938/39 სასწავლო
წლის 1 სექტემბრიდან რუსული ენი-
სა და ლიტერატურის სექტორები.

6. 1938/39 სასწავლო წლისათვის
რუსული ენისა და ლიტერატურის
სექტორების მისაღები კონტიგენტი
დამტკიცდეს შემდეგი რაოდენობით:
ა) ტფილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი—200 კაცი, ქუთაისის პედ-
ინსტიტუტი—90 კაცი სოხუმის პედ-
ინსტიტუტი—50 კაცი, ტფილისის სა
მასწავლებლო ინსტიტუტი—70 კაცი,
გორის სამასწავლებლო ინსტიტუტი
40 კაცი, ბათუმის სამასწავლებლო
ინსტიტუტი—40 კ., სტალინირის სა-
მასწავლებლო ინსტიტუტი — 40 კ.,
სულ კონტიგენტი—530 კაცი.

7. რუსული ენის დაუფლებისათ-
ვის უკეთესი პირობების შექმნის
მიზნით სასწავლო ქვეჯგუფები გა-
ნისაზღვროს 12—15 კაცით.

8. დაევალოს საგეგმო-საფინანსო
განყოფილების უფროსს, ამხ. კობახი-
ძეს ზემოთ დასახელებული უმაღლე-
სი სასწავლებლების რუსული ენისა
და ლიტერატურის სექტორების კონ-
ტიგენტის და მიმდინარე სასწავლო
წელს რუსული ენის სწავლებისათვის
დამატებული 50 საათის (სახუნტი, ქუ-
თაისის და სოხუმის პედინსტიტუტე-
ბი) დაფინანსებისათვის დასახოს და
წარმოადგინოს ღონისძიებანი ა/წ.
8 აპრილამდე.

საქ. განათლების სახ. კომისარი
**ერ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 1358

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 26 მარტს**

### უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის შესახებ

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მოსწავლეთა მიერ საფუძვლიანად შესწავლის მიზნით

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული არასრული საშუალო, საშუალო, მოზრდილთა განათლების, წ/კ უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებსა და პედ. სასწავლებლებში ა/წ. 1-ლ აპრილიდან საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლას დაეთმოს 10 გაკვეთილი თითოეულ კლასში.

2. არასრული საშუალო სკოლების მე-7, პედსასწავლებლების III, მოზრდილთა განათლების სკოლების მე-5—10 კლასებისა და წ/კ. უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში, დებულების სწავლებას ხსენებული საათები დაეთმოს სტალინური კონსტიტუციის სწავლებისათვის განკუთვნილი საათებიდან, ხოლო საშუალო სკოლების მე-3-8-9-10, აგრეთვე პედსასწავლებლების I და მე-II კლასებში ისტორიის გაკვეთილებისათვის განკუთვნილი საათებიდან, იმ ანგარიშით, რომ დებულების შესწავლა მიმდინარეობდეს ისტორიის და კონსტიტუციის სწავლების პარალელურად.

3. მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ „საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნების დებულების" შესწავლისათვის საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ რეკომენდირებული გეგმით და იქვე მითითებული ლიტერატურით. (გაზ. „კომუნისტი" № 55 (5156) 9 მარტი 1938 წ., № 56 (5157) 10 მარტი 1938 წ.

**განათლების სახალხო კომისრის**
**მოადგილე დ. ქიფშიძე**

---

# ბრძანება № 1401

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 31 მარტს**

### სკოლებში შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მოწყობის შესახებ

გენიალური პოეტის **შოთა რუსთაველის** საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად სკოლებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს. საიუბილეო თარიღმა სკოლებში ნამდვილი სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღო. მთელ რიგ სკოლებში იუბილესათვის მზადების პერიოდში მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი ნიმუშები შექმნეს მხატვრული კრიტიკისა, პოეზიისა, მხატვრობისა, პლასტიკისა და ქანდაკების დარგში, საქართველოს რიგ სკოლებში ამ მიმართულებით მუშაობა დღესაც ნაყოფიერად მიმდინარეობს.

მოსწავლეთა შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი სტიმულირებისათვის, უკვდავ შოთა რუსთაველის შემოქმედებისადმი ინტერესის გაღრმავებისა და შოთა რუსთაველის იუბილესათვის მუშაობის საუკეთესო ნიმუშების საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის გაცნობის მიზნით, აუცილებლად ვცნობ საქ. სსრ განსახკომის ხაზით მოეწყოს გამოფენა—„შოთა რუსთაველის იუბილე სკოლაში".

გამოფენის შესაფერისად ორგანიზების მიზნით **ვბრძანებ:**

1. გამოიყოს გამოფენის კომიტეტი შემადგენლობით: 1. ლ. გეგეშიძე, (თავმჯდომარე), 2. მ. წერეთელი (ტფილისის გან. განყოფილებიდან), 3. უშ. ობოლაძე (დაწყებითი და საშუალო სკოლების მთავარსამმართველოდან) 4. ი. ურუშაძე (განსახკომის სასკოლო მუშაობის კაბინეტიდან), 5. შ. დავითაია (ტფილისის პირველი სკოლიდან).

2. დაწყებითი და საშუალო სკოლის მთავარსამმართველომ ა/წ. 5 მარტამდე, განსახკომის საფინანსო-საგეგმო განყოფილებასთან შეთანხმებით, შეადგინოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს გამოფენისათვის საჭირო თანხების ხარჯთაღრიცხვა.

3. გამოფენის გახსნის თარიღად დაწესდეს 1938 წ. 1 მაისი.

საქ. განათლების სახ. კომისარი

**ერ. ბურჭულაძე**

---

# ბრძანება № 1546

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 13 აპრილს**

### გ. დოდოხიანის ნაწერების გამოცემის შესახებ

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრისა და კერძოდ მისი წევრის ამხ. ივანე იოსების-ძე **ბეგლაროვის** მიერ ჩატარებულ მუშაობას, მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ სომეხი პოეტის პოპულარული ლექსის — „მერცხალის"—ავტორის **გეორგ დოდოხიანის** დღემდე სრულიად უცნობ მოთხრობათა და ლექსების აღმოჩენის საქმეში; ამ მუშაობით საბჭოთა კავშირის ხალხთა და განსაკუთრებით ჩვენი მოძმე რესპუბლიკის საბჭოთა სომხეთის ლიტერატურის ისტორიას შეეძინა მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

გამომდინარე აქედან **ვბრძანებ:**

1. მოწონებულ იქნას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა/წ 4 აპრილის ღონისძიებანი პოეტ გეორგ დოდოხიანის ნაწარმოებთა გამოცემისა და მისი შემოქმედების შემდგომი შესწავლისათვის.

2. შეტანილ იქნას ქართულ საშუალო სკოლების პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში საუკეთესო ნიმუშები გეორგ დოდოხიანის ნაწარმოებებიდან.

3. მოეწყოს განსახკომის სისტემაში შემავალ ყველა უმაღლეს სასწავლებელში მოხსენებები გეორგ დოდოხიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

4. არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ჩატარდეს საუბრები და სპეციალური საღამოები გეორგ

დოდოხიანის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციისათვის.

5. დაისვას საკითხი საქ. მწერალთა კავშირის წინაშე, რათა ჩატარებულ იქნას გეორგ დოდოხიანის გარდაცვალებიდან 30 წლის თავის აღსანიშნავი იუბილე.

6. აღინიშნოს ტფილისის სახ. უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის წევრის ამხ. ივანე ბეგლაროვის ნაყოფიერი მუშაობა გეორგ დოდოხიანის ნაწარმოებთა აღმოჩენის საქმეში, გამოეცხადოს მას მადლობა და მიეცეს ერთდროული ფულადი ჯილდო.

7. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებელმა“ ფართოდ გააშუქოს გეორგ დოდოხიანის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხები.

**საქ. განათლების სახ. კომისარი**

**ერ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

# ბრძანება № 1318

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 22 მარტს**

## „სასკოლო ბიბლიოთეკა“-ს ლიტერატურის შესახებ

აღინიშნოს, რომ 1937 წელს გამოცემულ „სასკოლო ბიბლიოთეკას“ ლიტერატურა მთელმა რიგმა რაიონის განათლების განყოფილებებმა არ აითვისა, რის გამო მრავალი სკოლის ბიბლიოთეკა დარჩა სასკოლო სერიის ლიტერატურის მოუმარაგებლად.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებისათვის **ვბრძანებ:**

1. საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგემ, ამხ. კობახიძემ ფინსახკომთან შეთანხმებით, უზრუნველჰყოს რაიონების მიერ სახელგამიდან გადაგზავნილი სასკოლო სერიის წიგნების დაუყოვნებლივ გამოსყიდვა მარტსა და აპრილში, სულ 572.000 მანეთის რაოდენობით.

2. სახელგამის დირექტორმა, ამხ. ნ. კიკნაძემ უზრუნველჰყოს სასკოლო სერიის წიგნების განაწილება რაიონებზე დადგენილი წესის მიხედვით.

3. რაიონის განათლების განყოფილების გამგეებმა უზრუნველჰყონ მიღებული სასკოლო სერიის წიგნების კომპლექტების სკოლებამდის დაყვანა. წინადადება მიეცეთ განათ. განყოფილების გამგეებს მიღებული კომპლექტები გაანაწილონ კლასებისა და მოწაფეების რაოდენობასთან შესაბამისად.

4. სახელგამის დირექტორმა, ამხ. ნ. კიკნაძემ დაამუშაოს და ხუთი დღის ვადაში წარმოადგინოს ღონისძიება 1938 წ. გამოსაცემ სასკოლო სერიის წიგნების სკოლამდე დროულად დაყვანის შესახებ.

**განათლების სახ. კომისრის მოადგილე დ. ქიფშიძე**

---

# ბრძანება № 1495

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 7 აპრილს**

## წ. კ. უცოდინარ და მც. მცოდნე წვევამდელთა შორის მუშაობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავეცანი რა მოზრდილთა განათლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მასალებს 1917-18 წელში დაბადებულ წ/კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა შორის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ავღნიშნავ, რომ რიგ რაიონებში არ სრულდება განსახკომის დირექტივები. ამ მიმართულებით ადგილი აქვს აღმაშფოთებელ ფაქტებს რაც გამოიხატება:

1. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის, სტალინირის რაიონის სოფ. წუნარის წვევამდელთა ლიკსკოლის მასწავლებელმა, წვევამდელ გიგო მალძგიევს 50 მანეთი გადაახდევინა წ/კითხვის შესწავლისათვის, ხოლო წვევამდელი სოსო მალძგიევი სკოლის გარეთაა დატოვებული იმის გამო, რომ მან ვერ შესძლო 50 მანეთის გადახდა.

2. ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანასთან არსებულ წვევამდელთა სკოლაში მასწავლებელი ივანე ანდრონ-ძე კობახიძე რუსებს და ქართველებს ერთ ოთახში ერთსა და იმავე დროს ამეცადინებს, რის გამოც დაბალია სწავლების ხარისხი და დასწრებაც 50 % არ აღემატება. აღნიშნული სკოლა მოწყვეტილია განათლების განყოფილების კონკრეტულ ხელმძღვანელობას.

3. წვევამდელთა სკოლის მასწავლებლები მუშაობენ სამუშაო გეგმებისა და პროგრამების გარეშე. არ იცავენ დადგენილ აკადემიურ საათებს—ნაცვლად 4 აკადემიური საათისა დღეში მეცადინეობენ 2—3 საათს. (ჩხარი, ზესტაფონი, ქიათურა, კასპი).

4. წვევამდელთა სალიკვიდაციო სკოლების მსმენელები უზრუნველყოფილი არ არიან სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით. (აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი, კასპი და სხვ.).

5. წვევამდელთა სკოლებში მსმენელთა დასწრება არ აღემატება 50—60 % (ქედა, ქობულეთი, ბათომი, ყვარელი, საგარეჯო და სხვ.).

აღნიშნულიდან გამომდინარე

**ვბრძანებ:**

1. წინადადება მიეცეს აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების სახ. კომისრებს, სამხ. ოსეთის ავტ. ოლქის და ყველა განათლების განყოფილების გამგეებს პირადი პასუხისმგებლობით ჩააბან სწავლებაში ყველა წ/კითხვის უცოდინარი და მც. მც. წვევამდელი, გახსნან მათთვის სპეციალური სკოლები, სადაც კონტიგენტი არ არის საკმაო. მუშაობა წარიმართოს ინდივიდუალური მიმაგრებით, სკოლები უზრუნველყოფილ იქნან კვალიფიციური მასწავლებლებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით და ბინით. ვკრძალავ წვევამდელთა გაერთიანებას დანარჩენთათვის გახსნილ ჯგუფებში.

2. აიკრძალოს წ/კითხვის უცოდინარების და მც. მცოდნეების ერთ კლასში ერთდროულად მეცადინეობა.

3. განათლების განყოფილებებს

გამგეებმა პირადად სამხედრო კომისრებთან ერთად, შეამოწმონ წვევამდელთა სკოლების მუშაობის მიმდინარეობა და აღმოუჩინონ სათანადო პრაქტიკული დახმარება.

4. მტკიცედ იქნას დაცული აღნიშნულ სკოლებისათვის განკუთვნილი სასწავლო გეგმა და პროგრამები, აიკრძალოს კურს დამთავრებულთა გამოშვება პროგრამებით გათვალისწინებულ მასალის გაუვლელად.

5. წინადადებას ვაძლევ აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის და ყველა გან. განყოფილების გამგეებს ყოველი თვის ბოლოს გამოგზავნონ განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველოში ცნობები წვევამდელთა წ/კითხვის უცოდინარობის და მც. მცოდნეობის სკოლების მუშაობის მიმდინარეობაზე.

6. ვავალებ მოზრდილთა განათლების სამმართველოს გააძლიეროს ოპერატიულ-კონკრეტული დახმარების გაწევა სკოლებისათვის ადგილებზე ინსპექტორების მივლინებით.

**განათლების სახალხო კომისრის**
**მოადგილე ლ. გეგეშიძე**

---

# ბრძანება № 1266

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 17 მარტს**

### მოზრდილთა დაუსწრებელი არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქ. სს რესპუბლიკაში მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლება არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ფარგლებში არ არის სწორად ორგანიზებული. საქ. განსახკომის ყოფილი ხელმძღვანელობის არასწორი ბრძანებებისა და ინსტრუქციების და ზოგიერთ შემთხვევაში აშკარა მავნებლურ მითითებათა შედეგად მოზრდილთა დაუსწრებელ სწავლებას ჩაშლა მოელის. აღნიშნულის გამო

**ვბრძანებ:**

1. აკრძალულ იქნას მოზრდილთა დაუსწრებელ არასრული საშუალო და საშუალო ახალი სკოლების გახსნა და კლასების დაკომპლექტება ჩემს განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

2. დაევალოს ამხ. მუჩიაშვილს და პაჭკორიას უზრუნველყონ ამჟამად არსებულ მოზრდილთა დაუსწრებელი არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში ჩარიცხულ დაუსწრებელთა სწავლება. მიაწოდონ ადგილებს სტაბილური სახელმძღვანელოები, პროგრამა და მეთოდმითითებები.

3. რადგან დაუსწრებელთათვის გამოცემული გაშლილი პროგრამა — მეთოდმითითებებით დაუსწრებელს ვერ უწევს საჭირო მომსახურებას, ამიტომ შეწყვეტილ იქნეს პროგრამების რუსულ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

4. დაევალოს ამხ. მუჩიაშვილს და პაჭკორიას ერთი კვირის განმავლობაში დაამუშაონ მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პრინციპიალური საკითხების ირგვლივ სათანა-

დო ღონისძიებანი და წარდგენილ იქნეს ის დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოში.

5. დაევალოს მოზრდილთა განათლების სამმართველოს (პ/მგ. მუჩიაშვილი) და საგეგმო-საფინანსო განყოფილებას (პ/მგ. კობახიძე) ერთი კვირის განმავლობაში განსაზღვრონ მოზრდილთა დაუსწრებელ არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში 1938 წ. არსებული და ახლად მისაღები კონტინგენტი, დაამუშაონ დაუსწრებელთა სწავლებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა და შეტანილ იქნას ეს ღონისძიება დასამტკიცებლად სსს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

6. დაევალოს ამხ. მუჩიაშვილს და პაჭკორიას ათი დღის ვადაში დაამუშაონ დაუსწრებელთა შორის და სესიებზე ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის ფორმები და დასამტკიცებლად წარმომიდგინონ მე.

7. ვავალებ მოზრდილთა განათლების სამმართველოს და განათლების განყოფილებათა გამგეებს კონკრეტულად უხელმძღვანელონ დაუსწრებელთა სწავლებას, სისტემატურად შეამოწმონ ადგილებზე მუშაობის მიმდინარეობა და დანერგონ მეთოდური დახმარება.

8. მოწონებულ იქნას და გაიგზავნოს ადგილებზე მოზრდილთა განათლების სამმართველოს მიერ დამუშავებული ღონისძიება—დაუსწრებელთათვის სწავლების დროის განაწილებისა და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების შესახებ.

9. მოზრდილთა განათლების სამმართველოს მიერ დამუშავებული დებულების პროექტი—მოზრდილთა დაუსწრებელი არასრული საშუალო და საშუალო სკოლების და დაუსწრებელი სწავლების საკონსულტაციო პუნქტების შესახებ, განსახილველად გადატანილ იქნას დაუსწრებელი სწავლების საკონსულტაციო პუნქტის გამგეთა რესპუბლიკურ თათბირზე.

10. დაევალოს ამხ. მუჩიაშვილს და პაჭკორიას გადასინჯონ მოზრდილთა დაუსწრებელი არასრული საშუალო და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმა, შეადგინონ ახალის პროექტი და დასამტკიცებლად წარმომიდგინონ მე.

11. გაუქმდეს განსახკომის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ გამოცემული მოზრდილთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დებულება, ბრძანება № 927, ინსტრუქცია 5283/572 და განკარგულება № 1456, როგორც არა სწორი და ზოგიერთ შემთხვევაში მავნებლური ხასიათის მატარებელი.

**განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ლ. გეგეშიძე**

---

# ბრძანება № 1416

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წლის 1 აპრილს**

გადახალისდეს და დამტკიცდეს განსახკომის სამეცნიერო ტექნიკური საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სამეც. ტექნიკური საბჭოს პრეზიდიუმი:

თავმჯდომარე—ამხ. ლ. ყიფშიძე

მოადგილე—ნ. გვანჩიძე,

ლ. მელიქაძე

სწავლული მდივანი—გ. ბარნაბიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრები:
ნ. გრომაშვილი
ნ. კორინთელი,
ელ. პეგუშინა,
ევ. კრანცი,
ვ. იაკუბოვიჩი,
შ. ხეჩინაშვილი,
ნ. სევეროვი,
ან. კალგინა,
მ. ლალიაშვილი,
დ. ბირკაია,
ნ. პოლისადოვი,
პ. ჩარექიშვილი,
ბ. მუხარინსკი,
ვ. ბახტაძე
დ. ყიფიანი,
მ. შავიშვილი,
ვლ. კიკვაძე.
განათლების სახ. კომისრის მოადგილე დ. ყიფშიძე

---

# ბრძანება № 1400

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1938 წ. 31 მარტს**

## ახალ სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ

1938/39 სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ოპერატიული ხელმძღვანელობის განსახორციელებლად ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტ. ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებზე მიმაგრებულ იქნან ამხანაგები:

1. აფხაზეთის ასსრ —დ. ყიფშიძე
2. აჭარის ასსრ—ლ. გეგეშიძე
3. ს. ოსეთის ა. ოლქში—ვ. ქობულია
4. ქ. ტფილისში—უშ. ობოლაძე

### რაიონებში

5. აბაშის—გ. სარიშვილი
6. ამბროლაურის—ა. ლებანიძე
7. ადიგენის—ალ. შვანგირაძე
8. ახალციხის—ს. სიგუა
9. ახალქალაქის—ს. მაილიანი
10. ალბულაღის—მ. ფირცხალაიშვილი
11. ასპინძის—ქ. პანიციდი
12. ბაღდათის—ა. მჭედლიძე
13. ბოგდანოვკის—ქ. პანიციდი
14. ბორჩალოს—ს. მჭედლიძე
15. ბაშკიჩეთის—იბ. ახმედოღლი
16. ბორჯომის—არჩ. ჩაჩიბაია
17. გეგეჭკორის—ი. ქობალავა
18. გორის—ნ. ჯანგველაძე
19. გურჯაანის—ზ. ხუროძე
20. დუშეთის—გ. საჯაია
21. ვანის—პ. მეტრეველი
22. ზ. სვანეთის—დ. კანდელაკი
23. ზუგდიდის—დ. იმნაძე
24. თელავის—ალ. ჯაშიაშვილი
25. თიანეთის—ნ. გვათუა
26. კასპის—ს. ლორთქიფანიძე
27. ლაგოდეხის—ი. კვაჭაძე
28. ლანჩხუთის—ვ. იმედაშვილი
29. ლუქსემბურგის—ი. კარსანიძე
30. მახარაძის—ვ. პაჭკორია
31. ონის—გ. გობეჯიშვილი
32. სამტრედიის—უროტაძე

33. სიღნაღის—ნ. მეგრელიძე
34. საგარეჯოს—არ. ჯაფარიძე
35. ტყიბულის—ვ. კიკვაძე
36. ტფილისის—გ. ასათიანი
37. ქუთაისის—ვ. ქაჯაია
38. ქვ. სვანეთის—ვ. ბოკერია
39. ყარაიაზის—ი. კაჭარავა
40. ყვარელის—დ. დონდუა
41 ყაზბეგის—მ. დვალიშვილი
42. ჩოხატაურის—მ. ხუნდაძე
43. ჩხარის—ვ. კაპანაძე
44. ჩხოროწყუს—ე. ზარანდია
45. ფოთის—მ. გაბისონია
46. ცაგერის—შ. მუჩიაშვილი
47. ცხაკაიას—ნ. გვინჩიძე
48. წალენჯიხის—გ. ჩიქვინიძე
49. წალკის—პ. კორპუსოვი
50. წულუკიძის—დ. მელიქაძე
51. ჭიათურის—პ. რატიანი
52. ზესტაფონის—ბ. ძიგუა
53. ორჯონიკიძის—ფ. თოფურიძე
54. ხაშურის—ვ. დემურია
55. ხობის—პ. კობახიძე

**განათლების სახალხო კომისრის**
**მოადგილე დ. ქიფშიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ"
განსახკომის მოადგილე დავ. ყიფშიძე
11/IV – 38 წ.

# დროებითი დებულება

## დაწყებითი, ა/სრ საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების შესახებ.

1. პედაგოგიურ საბჭოში შედიან: სკოლის დირექტორი (გამგე), სასწავლო ნაწილის გამგე, ყველა მასწავლებელი და სკოლის ექიმი.

პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარეობს სკოლის დირექტორი (გამგე).

**შენიშვნა:** საჭირო შემთხვევაში დირექტორს შეუძლია საბჭოს სხდომაზე მოიწვიოს სათათბირო ხმის უფლებით კომკავშირის მდივანი, პიონერთა ორგანიზაციის, მოსწავლეთა და მშობელთა წარმომადგენლები.

2. პედაგოგიურ საბჭოს გადაწყვეტილება გამოაქვს ხმის უბრალო უმრავლესობით და ის ძალაში შედის დირექტორის (გამგის) მიერ დამტკაცების (ხელმოწერის) შემდეგ.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როცა დირექტორი (გამგე) რომელიმე საკითხის გადაწყვეტაში არ ეთანხმება საბჭოს უმრავლესობას, ის ვალდებულია ეს საკითხი გადაიტანოს განათლების განყოფილებაში.

3. პედაგოგიური საბჭო მუშაობს განსაზღვრული კალენდარული გეგმით.

4. პედაგოგიური საბჭოს მუშაობის თემატიკა ძირითადად განისაზღვრება სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის საკითხებით; სახელდობრ, პედაგოგიური საბჭოს მსჯელობისა და განხილვის საგანს უნდა შეადგენდეს:

ა) სკოლის წლიური მუშაობის გეგმა.

ბ) ცალკეულ დისციპლინების წლიური და მეოთხედური გეგმების შედგენის საფუძვლები.

გ) აღმზრდელობითი მუშაობის წლიური და მეოთხედური გეგმები.

დ) ცალკეულ სასწავლო დისციპლინის მუშაობის მეთოდები (შერჩევით).

ე) მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ფორმები.

ვ) მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციის გეგმები.

ზ) მოსწავლეთა და მასწავლებელთა მუშაობის შინაგანაწესი.

თ) მოსწავლის დღის რეჟიმი.

ი) კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზაცია.

კ) საზეიმო დღეების ჩატარება.

ლ) წერითი მუშაობის სახეები და გასწორების ფორმები,

მ) გამოცდების ორგანიზაცია,

ნ) მოსწავლეთა აკადემიური წარმატების და დისციპლინის შეჯამება (მეოთხედური, წლიური),

ო) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი,

პ) მშობელთა შორის მუშაობა,

ჟ) მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება-განზოგადოება,

რ) ჩატარებული მუშაობის ანგარიში: დირექციის, კლასის ხელმ-

ძღვანელის, მასწავლებლის, ექიმის, პიონერთა ხელმძღვანელისა და მშობლის (შერჩევით),

ს) დირექტორის და სასწავლო ნაწილის გამგის მიერ გაკვეთილებზე დასწრების შედეგები.

ტ) პედაგოგიური საბჭოს დადგენილებათა შესრულება.

უ) სასწავლო წლისათვის მზადება და სხვ.

5. პედაგოგიური საბჭოს დადგენილებანი უნდა ატარებდეს კონკრეტულ ხასიათს და მათი შესრულებას შემოწმებას სისტემატურად უნდა აწარმოებდეს დირექტორი (გამგე).

6. პედაგოგიური საბჭოს სხდომები ეწყობა მეოთხედში:

დაწყებით სკოლაში—სამჯერ.

არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში—ოთხჯერ,

**შენიშვნა:** ა) განსაკუთრებულ შემთხვევაში დირექტორს (გამგეს) შეუძლია პედსაბჭოს სხდომის მოწვევა მეტჯერ (საჭიროების მიხედვით).

ბ) პედაგოგიური საბჭოს სხდომის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს 1—3 საათით.

7. პედაგოგიურ საბჭოს ყავს არჩეული მუდმივი მდივანი.

8. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები შინაარსისა და ფორმის მიხედვით ყოველმხრივ გამართული უნდა იყოს და იწერებოდეს სპეციალურად შემოღებულ და ზონარგაყრილ (განათლების განყოფილების მიერ შემოწმებულ) წიგნში.

---

## საქ. სსრ ყველა საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილების გამგეს, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლისა და პედსასწავლებლების დირექტორებს (გამგეებს).

ასლი აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების განსახკომებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას.

ახალგაზრდობისა და ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის ამოცანის წარმატებით შესრულება საბჭოთა მასწავლებლისა და განათლების დარგის ყველა მუშაკისაგან მოითხოვს მოსწავლეთა მიმართ თანამიმდევრულ და სისტემატურ მზრუნველობას, სწავლებისა და აღზრდის ერთმანეთთან მოფიქრებულად დაკავშირებას.

ამ მხრივ ზოგიერთი მასწავლებლის მუშაობა ატარებს ვიწრო, პროგრამით შეზღუდულ, **მხოლოდ და მხოლოდ** სწავლის მაღალი მაჩვენებლებისადმი მისწრაფების ხასიათს, ხოლო ასეთ შემთხვევებში ხშირად უგულებელყოფილია აღზრდის მნიშვნელოვანი საკითხების სათანადო დონეზე დაყენება; უკეთეს შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია და კლასის ხელმძღვანელი კმაყოფილდებიან სკოლის შინაგანაწესის დაცვის შესახებ მოწაფეთა შორის ერთი ან ორი საუბრის ჩატარებით, ხოლო ნაკლებად აქცევენ ყურადღებას სკოლის გარეთ მოწაფეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვას.

ასეთი მდგომარეობის შედეგად სკოლის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი მოწაფე ადვილად ხვდება საზია-

ნო გავლენის სფეროში; გრძნობს რა თავის-თავს სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლისაგან ყოველგვარი კონტროლის გარეშე, ის არღვევს ქუჩაში მოძრაობის წესებს— ახტება ტრამვაის გაქანებულ ვაგონებს, ეკიდება ავტობუსებს, არ ემორჩილება ქუჩიდან ქუჩაზე გადასვლის წესებს; შეურაცხყოფს მილიციის ორგანოთა მუშაკებს, უხეშად ეპყრობა გამვლელ-გამომვლელს, უწმაწური სიტყვებით მიმართავს ქალებს, არღვევს მოქალაქეთა რიგებს კინოთეატრების სალაროებთან, ტრამვაის ვაგონების და ავტობუსების გაჩერებებთან, მიმართავს აზარტულ თამაშს, ხოლო ხშირად ზოგიერთი უდისციპლინო და თავაშვებული მოწაფე არ ერიდება დანებისა და სხვა მსგავსი იარაღის ტარებასა და მით ჩხუბსაც კი.

უფრო ხშირად სკოლის ადმინისტრაცია და კლასის ხელმძღვანელი აღმზრდელობით მუშაობაზე ფიქრს მხოლოდ მაშინ იწყებენ, როდესაც ისინი მოწაფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტის წინაშე დგებიან. ამგვარი დამოკიდებულების გამო ეს „ხელმძღვანელები", ნებსით თუ უნებლიედ, ნიადაგს ქმნიან მოწაფის მიერ წესრიგის დარღვევისათვის. უფრო მეტიც, გამონაკლის შემთხვევებში თვითონ ზოგიერთი მასწავლებელიც აძლევს მოწაფეს ტრამვაის ვაგონებზე ახტომისა და საფეხურებზე ჩამოკიდების ყალბი „გმირობის" ნიმუშს.

აღმზრდელობითი მუშაობის არასათანადო სიმაღლეზე დაყენებას უნდა მიეწეროს ის, რომ ტფილისის სკოლების მოწაფეთა შორის გახშირდა ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის და დანაშაულის ჩადენის სხვა ფაქტები. მაგ., მე-92 სკოლიდან რეგისტრირებულია სკოლის გარეთ წესრიგის დამრღვევი 20 მოწაფე, მე-38 სკოლიდან—9, მე-36 სკოლიდან—8 და ა. შ.

ხულიგნური მოქმედებისათვის მილიციის ორგანოებში **რამდენჯერმე** მიყვანილია მე-2 სკოლის 6 მოწაფე, მე-78 სკ.—7. მე-109 სკ.—9. მე-6 სკოლის—11 მოწაფე და ა. შ.

ქურდობაში შენიშნულია მე-109 სკოლის 2 მოწაფე, მე-3 სკოლის—4, მე-97 სკ.—4, მე-70 სკ.—1 მოწაფე და ა. შ.

აზარტულ თამაშში („ზარი") შემჩნეულია მე-30 სკოლიდან—2, მე-33 სკოლიდან—2, მე-41 სკოლიდან—1 მოწაფე და სხვ.

შენიშნულია აგრეთვე ზოგიერთი მოწაფის მიერ ქუჩაში ხელზე ვაჭრობა (მე-4 სკ.—2, მე-88 სკ.—1, მე-17 სკ.—1 მოწაფე).

არის მოწაფის მიერ მოწაფის დანით დაჭრისა და მოკვლის შემთხვევებიც (მოზრდილთა განათლების მე-2 სკოლა, მე-44 და მე-82 სკოლები).

ხულიგნური მოქმედების ჩამოთვლილი შემთხვევები სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის მოდუნებას მაჩვენებელია. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. სკოლის ადმინისტრაციამ და კლასის ხელმძღვანელებმა, კომკავშირთან, პიონერთა ორგანიზაციასთან და მშობელთა საბჭოსთან ერთად გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგან სკოლაში და სკოლის გარეთ მოწაფეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და წესრიგის დარღვევისა და ხულიგნობის შემთხვევების სრული ლიკვიდაციისათვის.

შეგნებული დისციპლინისათვის ბრძოლა არ უნდა ატარებდეს ვიწრო, ერთდროული კამპანიის ხასიათს, არამედ ის ორგანულად უნდა დაუკავშირდეს მთლიან სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას და წარმოებდეს მუდმივად არა მარტო სკოლაში, არამედ ყველგან იქ, სადაც მოწაფე

უხდება ყოფნა: ოჯახში, კლუბში, კინო-თეატრებში, პიონერთა შეკრებებზე, ქუჩაში და სხვაგან. ამ საქმეში ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული მთელი მშრომელი საზოგადოებრიობა, პირველ რიგში მოწაფეთა მშობლები და ის მოწაფეები, რომელნიც სწავლის მაღალი ხარისხითა და სანიმუშო ყოფაქცევით ავტორიტეტით სარგებლობენ სკოლაში.

მოწაფეთა შორის ხულიგნობასა და უწესრიგობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების მიზნით საჭიროა სკოლებმა გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. პედაგოგიური საბჭოს და მშობელთა საბჭოს სხდომებზე მოწაფეთა სასკოლო ორგანიზაციებთან ერთად დამუშავდეს საკითხი მოწაფეთა შორის ხულიგნობისა და სკოლის გარეთ წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამ ღონისძიებებში ფართოდ გაშუქდეს მშობლების მონაწილეობის სახეები მოწაფეთა შორის უწესრიგობასთან ბრძოლის საქმეში და მათი დახმარება სკოლის ადმინისტრაციასა და კლასის ხელმძღვანელების მიმართ.

2. კლასის ხელმძღვანელებმა შეიტანონ თავიანთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმებში საუბრების ჩატარება ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვისა და დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

3. კლასების მიხედვით მოწაფეთა შორის ჩატარდეს საუბრები სკოლაში და სკოლის გარეთ დისციპლინის განმტკიცების შესახებ, საუბრების ჩამტარებლად, გარდა თვით მასწავლებლებისა, მიზიდულ იქნან კომკავშირელები, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები, მოწაფეთა მშობლები, წ/არმიელები, მეთაურები, პიონერთა რაზმის ხელმძღვანელები და სხვ. წაკითხული და განხილული [illegible] **ი. გრიშაშვილის** ლექსი „ონავარი“ (გაზ. „ახ. კომუნისტი“ 26 იანვარი 1938 წ., ჟურ. „პიონერი“ № 3 —1938 წ., გაზ. „სტალინელი“ № 23 —1938 წ. 29/I ქუთაისი) **ელენე კონენკოს** წერილი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ „უხეშობა“ (იხ. „ახ. კომუნისტი“ № 8, 10 იანვარი 1938 წ.) **ტოლია პერელგინის** წერილი „პიონერსკაია პრავდაში“—„ამხანაგური რჩევა“ („პიონ. პრ.“, 10 იანვარი, 1938 წ.), საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. **ვ. ჩკალოვის** წერილი „პიონერსკაია პრავდაში“ **„ყოველგვარი რისკი როდია კეთილშობილური საქმე“** („პიონერ. პრავდა“, 25 იანვარი, 1938 წ.); შეგროვილი და მოწაფეებისთვის გაცნობილი იქნას ამონაჭრები გაზეთებიდან, სადაც ლაპარაკია ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის გამო მცირეწლოვანთა მსხვერპლის შესახებ.

სკოლის ადმინისტრაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ დასახელებული და სხვა მასალების დამუშავება არ უნდა მოხდეს ერთ საუბრად. საჭიროა ასეთი მუშაობის ჩატარება სისტემატურად და თანდათანობით 30—40 წუთიან შეკრებებზე ისე, რომ მოწაფეს კარგად დაამახსოვრდეს საუბრის დროს გაცნობილი ფაქტები, შეეძლოს იფიქროს მის შესახებ და თვითონვე გააკეთოს სათანადო დასკვნები.

4. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გაკრული იქნას ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვის მხატვრულად დაწერილი ინსტრუქცია, პლაკატები, ლოზუნგები, სურათები. შეძლებისდაგვარად, ასეთი სურათების, პლაკატების და სხვ. შედგენა-შესრულებაში გამოყენებულ იქნან თვით ის მოსწავლენი, რომელნიც შენიშნული არიან სკოლაში და სკოლის გარეთ

წესრიგის დარღვევაში. ეს მუშაობა ჩატარებული უნდა იქნას მოწაფეთადმი სათანადო პედაგოგიური მიდგომით ამგვარად, რომ მოწაფე ამ დავალებას ასრულებდეს შეგნებულად და ღრმა განცდით.

5. მოწაფეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის ფართოდ იქნას გამოყენებული კედლის გაზეთები და ბეჭდვითი პრესა. კედლის გაზეთებში მოთავსდეს სანიმუშო დისციპლინის მქონე მოწაფეთა პორტრეტები, წერილები მათი ყოფაქცევის შესახებ (უფროსებისადმი პატივისცემა, ქუჩაში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ზრდილობიანი თავდაჭერა, წესრიგის დამცველ ორგანოთა წარმომადგენელთადმი პატივისცემა და დახმარება, ამხანაგების და მასწავლებლებისადმი ზრდილობიანი მოპყრობა და სხვ.).

კედლის გაზეთებსა და ბეჭდვით პრესაში მოთავსდეს აგრეთვე, იმ მოწაფეთა წერილები და მოწოდებანი, რომელნიც წინათ წესრიგს არღვევდნენ და შემდეგში გამოსწორდნენ.

6. ხულიგნურ გამოსვლებში შემჩნეული მოწაფეები, სხვა ბავშვებთან ერთად, ჩაბმული იქნან სასპორტო და სხვა წრეების მუშაობაში. მიეცეთ პირველ ხანებში მცირე დატვირთვება მოწაფეთა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობის ხაზით: შეექმნათ მათ ამ მიმართულებით მუშაობის საუკეთესო პირობები, დახმარება გაუწიონ მასწავლებლებმა და აქტიურად მომუშავე მოწინავე მოსწავლეებმა, წახალისების მიზნით მოხდეს მათი მუშაობის განზოგადოება და სხვა.

7. ყოვლად დაუშვებელია აღზრდის ისეთი „მეთოდის“ გამოყენება, როდესაც ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელობა თავს იზღვევს ცელქი ბავშვის გამოსწორებისათვის ზრუნვიდან და ასეთ ბავშვს ჰგზავნის მილიციის ორგანოების წარმომადგენელთა მეთვალყურეობის ქვეშ (მაგ., ტფილისის მე-65 სრ. საშ. სკოლიდან, მე-3 კლასის მოწაფე სტეპანიანი და სხვ.). სკოლის ადმინისტრაციის და პედპერსონალის ცუდი მუშაობის მაჩვენებელია აგრეთვე, ცელქ და უდისციპლინო მოსწავლეთა სკოლიდან ხელაღებით გარიცხვის შემთხვევებიც. საჭიროა ბოლომდე და თანამიმდევრულად სწარმოებდეს მუშაობა ცელქი ბავშვების გამოსასწორებლად თვით სკოლაშივე, სანამ საქმე მივიდოდეს მოწაფის სკოლაში დატოვების შეუძლებლობამდე. მასწავლებელი, სკოლის გამგე, დირექტორი, კლასის ხელმძღვანელი, საფუძვლიანად უნდა სწავლობდეს ასეთი მოწაფის სიცელქის მიზეზებს, პირადად მივიდეს მასთან სახლში, ხშირად ხვდებოდეს და ესაუბრებოდეს, აინტერესებდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობით, სპორტით, მუსიკით, ლიტერატურით და სხვ. ამ სახის მუშაობას არ უნდა მიეცეს მოწაფისათვის „მაღლიდან ცქერის“, დაცინვის, შეურაცყოფის სახე,—ის უნდა ტარდებოდეს მოსწავლეებთან მეგობრული ატმოსფეროს პირობებში.

8. ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებმა სისტემატურად შეამოწმონ მოწაფეთა შორის დისციპლინის განმტკიცების მიზნით სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობა, გაუწიონ კონკრეტული დახმარება სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს და უზრუნველჰყონ სკოლებისათვის დახმარების გაწევა ამ დარგში არსებული ლიტერატურის, პლაკატების, სურათების და სხვ. შეძენით.

განათლების სახალხო კომისარიატი ავალებს ყველა სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებელს და განათ-

ლების დარგის ყველა მუშაკს, მოწაფეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საკითხს მოეპყრან განსაკუთრებული გულისხმიერებით, თითოეულ მოწაფეს მიუდგნენ დიფერენციალურად, მისი ხასიათის თვისებებისა და მისწრაფებების გულდასმით შესწავლის საფუძველზე. დაგმობილ და ლიკვიდირებულ იქნას ყველა მოსწავლისადმი ერთნაირად მიდგომის **შტამპი** და უხეში ადმინისტრირების პრაქტიკა. საჭიროა თითოეული მასწავლებელი გრძნობდეს სრულ პასუხისმგებლობას მისი კლასის და სკოლის თითოეული მოწაფის მოქმედებაზე როგორც სკოლაში, ისე მის გარეთ.

მოწაფეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას საქმის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის, ამ დარგში მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის, მშობლების და მასწავლებელთა ფართოდ ჩაბმისა, დაინტერესებისა და წახალისების მიზნით განათლების ორგანოებმა და სკოლის ადმინისტრაციამ უნდა მოაწყონ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის განზოგადოება, მუშაობის გამოცდილების გაზიარება, მოწინავე მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა მუშაკების (კომკავშირელები, სტახანოველები, მეთაურები და სხვ.) შესახებ კედლისა და ბეჭდვით გაზეთებში წერილების მოთავსება, მათი ფოტო-სურათების გამოქვეყნება, მათი დაჯილდოვება, მადლობის გამოცხადება და სხვ.

განათლების განყოფილებებმა სისტემატურად მოაწოდონ განსახკომს ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის მსვლელობის შესახებ წერილობითი ინფორმაციები.

საქ. განათლების სახ. კომისარი
**ერ. ბურჭულაძე**

დაწყ. და საშ. სკოლ. მთავარსამმართველოს უფროსი
**ვ. იმედაშვილი**

პ/მგ. რედაქტორი დ. ქიფშიძე ტექრედაქტორი ს. ცაიშვილი

გამომც. „ზარია ვოსტოკა“-ს ა. ფ. მიასნიკოვის სახ. წ/დ. სტამბა
შეკ. 1575 მთავლიტი 1125 ტირაჟი 5000

156

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 171
1938